

პრესრელიზი

„ჯი-აი-ჯი „ და განათლების სამინისტრო პროფესიული პროგრამის განახლებაზე მუშაობს

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის „ინიციატივით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით დაიწყო სამთო საქმის პროფესიული სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებისა და გადამუშავების პროექტი.

პროექტი მიზნად ისახავს პროფესიული პროგრამის განახლებასა და დუალურ სისტემაზე გადაყვანას. დუალური სისტემა თანამედროვე მიდგომაა, რაც გულისხმობს პროგრამის განმავლობაში პრაქტიკულ ნაწილზე ფოკუსირებას.

პროგრამის მოდულების შემუშავებაში ჩართულები არიან, როგორც თეორეტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი სპეციალისტები, შესაბამისად პროგრამაში ასახული იქნება ყველა ის მიმართულება, რაც დღეს სამთო საქმეს სჭირდება.

ოქტომბრიდან იგეგმება ახალი პროფესიული პროგრამის ფარგლებში პირველი ნაკადის მიღება.

7.06.2017

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

